https://doi.org/10.59172/2667-9876/2024-1/54-68

მართლწინააღმდეგობა როგორც იურიდიული კატეგორია

თემურ ცქიტიშვილი
სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

რეფერატი: წინამდებარე სტატია ეხება მართლწინააღმდეგობის პრობლემას. განხილვის საგანს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის, როგორც დანაშაულის პირველი ნიშნის მიმართება მართლწინააღმდეგობასთან, მართლწინააღმდეგობის ფორმალური და მატერიალური მხარე, მართლწინააღმდეგობის და სისხლისსამართლებრივი უმართლობის ურთიერთმიმართება. წინამდებარე წერილში მსჯელობაა იმასთან დაკავშირებითაც, არსებობს თუ არა სამართლებრივად თავისუფალი სივრცე, აგრეთვე, რამდენად მართებულია დებულება ერთიანი მართლწესრიგის მიხედვით მართლწინააღმდეგობის დადგენასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია მართლწინააღმდეგობის სამართლის დარგების მიხედვით დაყოფის მიზანშეწონილობა.

საკვანძო სიტყვები: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, სისხლისსამართლებრივი უმართლობა.

1. შესავალი

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა წარმოადგენენ დამოუკიდებელი შეფასების საგნებს და ამით განსაკუთრებული შემოწმების საგანს, რის უკან მატერიალური თვალსაზრისით დგას სისხლის სამართლის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ხედვა როგორც სახელმწიფო მართლწესრიგის ფუნქციის და მისი კონსტიტუციური პირობების კუთხით[1].

1. *Paeffgen H-U.*, Rechtswidrigkeit als juristische Kategorie, in: Hilgendorf E., (Hrsg.), Rechtswidrigkeit in der Diskussion, 2018, S. 3-4.

საერთო სამართლის ინგლისური სისტემა არ აკეთებს განსხვავებას უმართლობასა და ბრალს შორის. შესაბამისად, ქართული და გერმანული სისხლის სამართლისგან განსხვავებით, არ მიმდინარეობს მათი ერთმანეთისგან დიფერენცირებული შემოწმება და დადგენა.

ქართული სამართალი, რომელიც კონტინენტურ-ევროპული სამართლის ნაწილია და განიცდის გერმანული სამართლის ზეგავლენას, გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად ერთმანეთისგან მიჯნავს დანაშაულის სამ ელემენტს, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით მოწმდება: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

2. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც უმართლობა და გამართლებით უმართლობის უარყოფა

ა) ქმედების შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობას აქვს სხვადასხვა ფუნქცია, რომელთაგან ერთ-ერთია საგარანტიო ფუნქცია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს კონსტიტუციიდან. უმართლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობა.

ქმედების შემადგენლობა აღწერს აკრძალულ და დასჯად ქმედებას. ყველა განზრახი ქმედების შემადგენლობა მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს. ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება, თუ სახეზე არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება, წინააღმდეგობაშია აკრძალვასთან და მოთხოვნასთან[2]. ქმედების შემადგენლობასთან განხორციელებული ქმედების შესაბამისობა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე საბოლოო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა და ვიდრე არ გაირკვევა განხორციელდა თუ არა ქმედება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში, ჯერ კიდევ შეუძლებელია ქმედების მართლზომიერად ან მართლსაწინააღმდეგოდ შეფასება.

ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობის გარეშე სისხლისსამართლებრივი უმართლობა ვერ განხორციელდება. მეცგერის სიტყვებით შეიძლება ითქვას, რომ ქმედების შემადგენლობა არის მართლწინააღმდეგობის *ratio essendi*[3] ან უფრო ზუსტად: *ratio essendi* ქმედების უმართლობისთვის მისაკუთვნებლად, სა-

2. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 6.
3. არსებობის საფუძველი არისტოტელეს ფილოსოფიაში.

ნაცვლოდ კი მხოლოდ *ratio cognoscendi*[4] მართლწინააღმდეგობისთვის კონკრეტულ შემთხვევაში;

ბ) მართლწინააღმდეგობა;

გ) ფორმალური მხარე;

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ცალკეული ფაქტორების გათვალისწინებით ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივ მართლწესრიგს მთლიანად და აქედან გამომდინარე კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ მოვალეობებს[5]. აღნიშნული დებულება იმ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, რომ გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შედგება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსისგან და მასთან ერთად არსებობს დამატებითი ანუ ე. წ. გვერდითი კანონებიც. თუ ერთმა სისხლისსამართლებრივმა კანონმა აკრძალა გარკვეული ქმედება, არ შეიძლება იგი ნებადართულად გამოაცხადოს სხვა სისხლისსამართლებრივმა კანონმა. ქართული სამართლებრივი სისტემის მიხედვით რომ მივუდგეთ საკითხს, საქართველოშიც არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის გარდა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ნორმები, თუმცა ქმედების შემადგენლობა და სასჯელი მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით არის განსაზღვრული. ქართულ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის კანონში რომ არის მოცემული მითითება განსაზღვრული ქმედების აკრძალვაზე და არანებადართულ ქმედებაზე, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად და აუცილებელია იმის გარკვევაც, რომ ქმედება არ განხორციელებულა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში. ის, რაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის კანონში ქმედების აკრძალვაზე მიუთითებს, ქართულ სისხლის სამართალში შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბლანკეტური შემადგენლობის ნორმატიულ ნიშანს წარმოადგენდეს. თუმცა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეს არ გამორიცხავს მის მნიშვნელობას მართლწინააღმდეგობის დასადგენად. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ უკანონო აბორტის (133-ე მუხ.) და სატრანსპორტო დანაშაულთა შემადგენლობები.

აკრძალვისა და მოთხოვნის ნორმების გვერდით არსებობს გამამართლებელი გარემოებები, რომლებიც სამართლებრივ ნებართვას გულისხმობენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ავტორთა ნაწილი ასევე ერთმანეთისგან განასხვავებს ნებართვას და გამართლებას. მაგალითად, თუ უკიდურეს აუცილებლობას გამამართლებელ გარემოებად წარმოგვიდგენენ,

4. შემეცნების საფუძველი.
5. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 7.

აუცილებელი მოგერიების დროს ნებართვაზე მიუთითებენ. გამამართლებელ გარემოებათა მეშვეობით კანონმდებელი (აბსტრაქტულ-გენერალურად, ისევე როგორც აკრძალვის აღწერისას ქმედების შემადგენლობის გზით) აღიარებს, რომ განსაზღვრულ პირობებში ქმედების შემადგენლობის განხორციელება ნებადართულია[6].

გერმანელი მეცნიერი პეფგენი ქმედების შემადგენლობას ამავდროულად განიხილავს გამამართლებელი გარემოების წინაპირობად და მიუთითებს, რომ ისეთი ქმედება, რომელიც აკრძალული არ არის, პერ სე არის ისეთი, რომელსაც გამართლება არ სჭირდება და ასეთ დროს მიუთითებენ ქმედების თავისუფლებაზე[7]. აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია იმ თვალსაზრისით, რომ ქმედების გამართლებას მართლაც არ მოითხოვს ყველა ქმედება. ქმედების გამართლების საჭიროება მაშინ წარმოიშობა, როცა სახეზეა ისეთი ქმედება, რომელსაც აკრძალვა შეიძლება დაეფუძნოს. ქმედება, რომელსაც აკრძალვა ვერ დაეფუძნება, არც გამართლების საჭიროებას გულისხმობს. თუმცა აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ასეთი ქმედება სამართლებრივად მაინც მართლზომიერი ქმედებაა, ვინაიდან ის არ ეწინააღმდეგება სამართალს;

დ) მართლწინააღმდეგობის მატერიალური შინაარსი

მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებულ ცენტრალურ პრობლემად განიხილება მატერიალური შინაარსი სიტყვისა: „მართლწინააღმდეგობა". ჩნდება კითხვა, როდის იღებს კანონმდებელი გადაწყვეტილებას, რომ სოციალურად დისფუნქციური ქმედება იმდენად მძიმეა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის გამოყენება აუცილებელია? აღნიშნული კითხვა მიიჩნევა რთულად საპასუხოდ და სისხლის სამართლის ლიტერატურაში იწვევს აზრთა სხვაობას. აღნიშნული თვალსაზრისით მთავარ ცნებად განიხილება სამართლებრივი სიკეთე[8]. ზოგიერთი ქმედება, მაგალითად, მკვლელობა დასჯადია იქიდან მოყოლებული, რაც სამართალი არსებობს. თუმცა არის ისეთი ქმედებები, რომლებთან მიმართებით ჩნდება კითხვა, უნდა იყოს თუ არა დასჯადი სისხლის სამართლით და სად გადის ზღვარი სისხლისსამართლებრივად და პოლიციური სამართლით (ადმინისტრაციული სამართლით) დასჯის შესაბამის ქმედებებს შორის? აღნიშნულს უკავშირებენ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და სოციალურ-ეთიკური გასაკიცხაობის მაღალ ხარისხს[9]. სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკამათო საკითხად ზოგიერთი ავტორი სანიმუშო სახით უთითებს

6. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 7.
7. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 7.
8. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 10.
9. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 11.

ცხოველთა წამების შემთხვევას, რომელიც, მათი აზრით, ნაკლებად შეიძლება უკავშირდებოდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვას[10], რაც შესაბამისად წარმოშობდა კითხვას მისი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი[11]. ცხოველის წამება სოციალურ-ეთიკური გასაკიცხაობის თვალსაზრისით არ შეიძლება სისხლის სამართლით არ ისჯებოდეს ან მისი დასჯადობა კითხვის ნიშნებს წარმოშობდეს. მოსაზრება, რომელიც ცხოველის წამების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობას კითხვის ქვეშ აყენებს, შეიძლება ეფუძნებოდეს იმ მოძველებულ შეხედულებას, რომელიც ცხოველს უუფლებო არსებად განიხილავდა და ნივთებს, უსულო საგნებს უთანაბრებდა[12].

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობის საეჭვოობაზე მიუთითებენ სისხლის სამართლის იმ სფეროს, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკული დანაშაულების დასჯადობას. კერძოდ კი, მცირე მოცულობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის, წარმოების და იმპორტის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას[13]. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნარკოპოლიტიკა მუდმივად განიცდის ცვლილებას, რაც აისახა კიდეც ქართულ კანონმდებლობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. გაუქმდა მარიხუანის მოხმარების დასჯადობა, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით შეძენაზე, შენახვაზე, გადაზიდვაზე, გადაგზავნაზე სპეციალური ნორმა არსებობს (273-ე მუხ.). ეს ყოველივე – სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და მუდმივი ცვლილებები ნათლად მეტყველებს განსახილველი, სტატიაში დასმული საკითხის პრობლემურობაზე, კერძოდ, სად უნდა გაივლოს ზღვარი სისხლისსამართლებრივად დასჯად და არადასჯად ქმედებებს შორის.

3. კორელაცია ქმედების შემადგენლობის შესაბამისობასა და მართლწინააღმდეგობას შორის

ქმედების შემადგენლობა აღწერს შესაძლო უმართლობის – გასაკიცხაობის ძირითად შინაარსს. ის არის იმ ერთთაგანი, რომელიც მოსამართლემ უმართლობასთან დაკავშირებით უნდა დაადგინოს. ამასთან ერთად, მოსამართლემ უმართლობის განხორციელების ფაქტის დასადგენად უნდა დაადგინოს ასევე გამამართლებელი გარემოებების არარსებობა. ქმედების შემადგენლობის შესაბამისობა არ მოიცავს შეფასებისმიერ საფეხურს. ქმედების შემადგენლობა

10. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 12.
11. ცხოველის სისხლისსამართლებრივ დაცვაზე იხ. ცქიტიშვილი თ.,ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა, კერძო სამართლის მიმოხილვა, 2021-2022, №3-4, გვ. 165-182.
12. ცხოველს ნივთებთან აიგივებდა ცნობილი ფილოსოფოსი *იმანუელ კანტიც.* იხ. *კანტი ი.*, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, თბ., 2013, გვ. 179.
13. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 12.

ასრულებს ქმედების უმართლობასთან დაკავშირებით მხოლოდ ინდიციის ფუნქციას[14]. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საუბარია შეფასებისმიერ საფეხურზე, იგულისხმება შეფასება მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით, რამეთუ ქმედების შემადგენლობა შეიძლება მოიცავდეს აღწერილობითი (დესკრიფციული) ნიშნის გარდა შეფასებით ნიშანსაც. ეს განსაკუთრებით ეხება ბლანკეტურ დელიქტებს.

მართლწინააღმდეგობის დადგენა წარმოშობს კითხვას, გამოირიცხება თუ არა გამამართლებელი გარემოების არსებობა. თუ გამამართლებელი გარემოების არსებობა გამოირიცხა, ქმედების შემადგენლობის შესაბამისობა იქნება საფუძველი უმართლობასთან ქმედების შესაბამისობის.

4. ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრება

ავტორთა ერთი ნაწილი გამამართლებელ გარემოებებში ხედავს ქმედების შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანს. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა თანხვედრაშია, რის შედეგადაც ვიღებთ დანაშაულის ორნიშნა მოდელს. ეს კი წინააღმდეგობაშია იმ შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც, ქმედების შემადგენლობის ნიშნებსა და გამამართლებელ გარემოებებს შორის არსებობს საგნობრივი სხვაობა[15]. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ის წინააღმდეგობაშია დანაშაულის სამნიშნოვან მოდელთან, რომელსაც ქართული სსკ-ის მე-7 მუხლი ითვალისწინებს და რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ქმედების შემადგენლობას, როგორც აღწერილობით და მართლწინააღმდეგობას, როგორც შეფასებით ნიშნებს.

გამამართლებელი გარემოების არარსებობის მიჩნევა ქმედების შემადგენლობის ნეგატიურ ნიშნად გულისხმობს არსისა და ჯერარსის გაიგივებას, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის ნიშნები ეხება ფაქტობრივ გარემოებებს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეფასებით ნიშნებსაც მოიცავს. ხოლო მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებული შეფასება არის ნორმისმიერი შეფასება. იმის დადგენა, რომ ადამიანი მოკლულია განზრახი ქმედებით, გულისხმობს განზრახ მკვლელობის შემადგენლობის განხორციელების დადგენას, რაც იმთავითვე არაფერს ამბობს ქმედების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობაზე. აღნიშნული საკითხის გარკვევა მომდევნო საფეხურს წარმოადგენს დანაშაულის ნიშნების

14. *Welzel H.,* Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., 1969, S. 80; *Kühl K.,* Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 108; *Haft F.,* Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 71; *Baumann/Weber/Mitsch/Eisele,* Strafrecht, AT, Lehrbuch, 12. Aufl., Bielefeld, 2016, S. 336, § 14 Rn.9; *Ebert U.,* Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 64; *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 15; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011. 339.

15. Paeffgen H-U., ebenda, S. 16-17.

დადგენის პროცესში. ქმედების შემადგენლობა შეიძლება განხორციელებული იყოს როგორც მართლზომიერად, ისე მართლსაწინააღმდეგოდ.

ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრების კრიტიკასთან დაკავშირებით ველცელი ახდენს კოლრაუშის პერეფრაზირებას და აღნიშნავს, რომ აღნიშნული მოძღვრების წარმომადგენლებისთვის ადამიანის მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იგივეა, რაც კოღოს მოკვლა[16].

თუ ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრებას გავიზიარებთ და გამამართლებელი გარემოების არარსებობას ქმედების შემადგენლობის ნიშნად განვიხილავთ, ამით გავაიგივებთ განზრახვას, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანს და ქმედების გამამართლებელ გარემოებათა სუბიექტურ ნიშნებს. გარდა ამისა, ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის გამიჯვნა ასევე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს შეცდომა ქმედების შემადგენლობის ნიშნებში და შეცდომა აკრძალვაში. ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებული შეცდომა შეიძლება გულისხმობდეს განხორციელებული ქმედების ნებადართულობასთან დაკავშირებით არასწორ წარმოდგენას. მაგალითად, როცა მოქმედი ცდება და ჰგონია, რომ ნადირს კლავს, მაგრამ განხორციელებული ქმედებით მოხდება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. მოცემულ შემთხვევაში პირი, ერთი მხრივ, ცდებოდა ქმედების ობიექტში და ამავდროულად, შეცდომას უშვებდა ქმედების სამართლებრივ მხარეში. თუმცა, ეს არ შეიძლება გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე და შეიძლება პირი ცდებოდეს განხორციელებული ქმედების აკრძალვასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ცდებოდეს ქმედების შემადგენლობის ნიშნებში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოჩვენებითი მოგერიება, როცა მოქმედმა იცის, რომ ადამიანს კლავს, მაგრამ ჰგონია, რომ ეს ხდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. აღნიშნული შემთხვევა იმით გამოირჩევა, რომ საქმე ეხება ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებულ შეცდომას, რაც განაპირობებს შეცდომას აკრძალვაში. ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა ასევე გულისხმობს შეცდომას ფაქტობრივ გარემოებებში. ამის მაგალითია თუნდაც ქმედების ობიექტში შეცდომა.

5. არსებობს თუ არა სამართლებრივად თავისუფალი სივრცე?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარდა არსებობს თუ არა მესამეც, რომელიც არც მართლზომიერებას გულისხმობს და არც მართლწინააღმდეგობას. მაგალითად, გ. ნაჭყებია მიუთითებდა,

16. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, 119; *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 17.

რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი ქმედება, რომელიც არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. მისი შეხედულებით, ქმედების შემადგენლობის განხორციელებით პირი გადადის სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში. თუ სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქმედება მართლზომიერია. აღნიშნულ დასკვნამდე ავტორი მიდის იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ ქმედების შემადგენლობა არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო[17].

ქმედების შემადგენლობა არ გულისხმობს სამართლებრივ შეფასებას და წარმოადგენს შეფასების საგანს. ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობა მართლაც არ გულისხმობს ქმედების მართლზომიერებას ან მართლწინააღმდეგობას, ვინაიდან, ერთი მხრივ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით ხორციელდება და, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობა არ არის ქმედების შემადგენლობის ნიშანი, ქმედების შემადგენლობის მიღმაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისთვის მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელება საკმარისი იქნებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება განხორციელებამდე და რეალურ სამყაროში განხორციელებული ქმედება. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, როგორც მკვლელობის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება თავისთავად არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან მისი განხორციელება მართლზომიერადაც შეიძლება და მართლსაწინააღმდეგოდაც. თუ დადგინდა მკვლელობის შემადგენლობის განხორციელება, არსებობს ვარაუდი, რომ ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო. როდესაც დადგინდება, რომ სხვისი სიცოცხლის ხელყოფას ადგილი ჰქონდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ქმედების მართლზომიერება დადგენილად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის შემადგენლობაა განხორციელებული.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, მართლზომიერების და მართლწინააღმდეგობის გარდა არსებობს სამართლებრივად თავისუფალი სივრცეც, მაგრამ არა ქმედების შემადგენლობის უკან, ქმედების შემადგენლობის ფარგლებში, არამედ მის მიღმა. კერძოდ, ასეთად განიხილება თვითმკვლელობა[18]. ვინაიდან დასჯადი ქმედების შემადგენლობა არ განხორციელებულა, შეუძლებელია ქმედების მართლწინააღმდე-

17. *ნაჭყებია გ., წიგნში:* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 186-188; *თოდუა ნ.,* ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის, განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხისათვის, წიგნში: *რევაზ გოგშელიძე* 65, საიუბილეო კრებული, თბ., 2022, 54.

18. Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, S. 611, §14 Rn. 28.

გობის დადგენა, მაგრამ ავტორი გამორიცხავს ქმედების მართლზომიერებასაც. აღნიშნული დებულების დადასტურება შესაძლებელია იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ადამიანს არ გააჩნია თვითმკვლელობის უფლება, ვინაიდან აღნიშნული შეხედულებით, სიცოცხლე არ არის განკარგვადი სამართლებრივი სიკეთე[19]. აღნიშნულ კონცეფციას ეფუძნება ევთანაზიის დასჯადობაც (სსკ-ის 110-ე მუხ.). თავისუფალი სივრცის მოძღვრების წარმომადგენლები აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებენ ქმედების თავისუფლებაზე, რომელსაც არ აიგივებენ უფლებასთან, მოქმედი პირისთვის უფლების მინიჭებასთან[20]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ერთი შეხედულებით ადამიანს არ გააჩნია საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება, მეორე შეხედულებით ადამიანს აქვს არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ასევე თვითმკვლელობის უფლებაც[21].

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში განხორციელებულად ითვლება ქმედება უკანონო აბორტის დროს, თუ მას ადგილი ჰქონდა უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში[22]. აღნიშნულ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის არგუმენტი, რომ უკიდურესი აუცილებლობა, მოქმედება დედის სიცოცხლის გადასარჩენად ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს, თუმცა, მეორე მხრივ, ერთმანეთს უპირისპირდება დაბადებული და დაუბადებელი სიცოცხლე. ასევე მიუთითებენ მოვალეობათა კოლიზიის შემთხვევაზე, როცა მამა მოქმედებს ერთ-ერთი შვილის გადასარჩენად და ამასობაში იღუპება მეორე შვილი დახმარების აღმოუჩენლობის გამო[23].

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობისას და მოვალეობათა კოლიზიის დროს ზოგიერთი ავტორი პერსონალური უმართლობის მოძღვრების ფარგლებში უშვებს ქმედების უღირსობის გამორიცხვის შესაძლებლობას შედეგის უღირსობის მიუხედავად, ვინაიდან მათი შეხედულებით, მოქმედი პირი არ შეიძლება გაიკიცხოს მოქმედებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისთვის. როგორც მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, დასახელებულ ავტორებს გაუმართლებლად მიაჩნიათ იმაზე საუბარიც, რომ განხორციელებული ქმედება

19. *კუბლაშვილი კ.,* ძირითადი უფლებები, თბ., 2014, გვ. 127; *გამყრელიძე ო.*, შესავალი წერილი *ირ. სურგულაძის წიგნში:* ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002, გვ. 23.

20. Kaufmann A., Rechtsfreier Raum und eigenverantwortliche Entscheidung, in: Reinhart Maurach, Festschrift zum 70. Geburtstag, 1972, S. 332.

21. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება. BVerfG 26.02.2020. გამოქვეყნებულია ჟურნალში: NJW 13/2020,შ. 905-921. საკითხი ზოგად პიროვნულ უფლებასთან მიმართებით იხ. *ბოცირიძე ე.*,წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 102.

22. აღნიშნულის შესახებ იხ. *Roxin C.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, S. 610, §14 Rn. 26.

23. აღნიშნულის შესახებ იხ. *Roxin C.*, ebenda; *Kaufmann A.,* ebenda, S. 337.

მოქმედს უნდა ეპატიოს. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მართლწესრიგს მსგავს შემთხვევებში არ შეუძლია იმის თქმა, მოქმედი პირის თუ როგორი გადაწყვეტილება იქნებოდა მართებული[24]. თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მართებული პასუხის შესაძლებლობას იძლევა უკიდურესი აუცილებლობის დროს ხელყოფილზე უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მოვალეობათა კოლიზიის დროს რომელიმე ერთ-ერთი სიკეთის გადარჩენა იმ პირობებში, როცა ორივე სიკეთეს ხელყოფა ემუქრება და ორივე სიკეთის ერთდროულად გადარჩენა შეუძლებელია.

საყურადღებოა სამართლებრივად თავისუფალ სივრცეზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამახვილებული ყურადღება იმის შესახებ, რომ სამართლის მოქმედების არეალი იმდენად ვრცელია, კანონმდებელს არ შეუძლია უხარვეზოდ ყველაფრის მოცვა და რეგულირება[25]. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ზეკანონური გარემოებები. თუმცა საგულისხმოა ის, რომ ქართულ სსკ-ში არსებობს სპეციალური ნორმა 32-ე მუხლის სახით. ის, რომ კოდექსში ასეთი გარემოებები სახელდებით არ არის დასახელებული, არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა არ არის ნორმირებული. გარდა ამისა, ზეკანონური გარემოებების საფუძველზე გამართლება კიდევაც რომ ხდებოდეს სსკ-ში სპეციალური ნორმის არარსებობის პირობებში, ეს მაინც ვერ შექმნიდა იმის თქმის საფუძველს, რომ ქმედება არც მართლსაწინააღმდეგოა და არც მართლზომიერი. ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის პირობებში, ხოლო მართლზომიერების განმსაზღვრელი იქნებოდა გამამართლებელი გარემოების არსებობა, თუნდაც სპეციალური ნორმის არარსებობისას[26].

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თუ ქმედება ნორმირებულია მართლწესრიგით, ის ან მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგო. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ქმედება უნდა იყოს ნორმირებული. შეიძლება არსებობდეს ისეთი ქმედება, რომელიც არ არის ნორმით გათვალისწინებული და, აქედან გამომდინარე, არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო[27].

24. აღნიშნულის შესახებ იხ. *Kaufmann A.,* ebenda, S. 330.
25. *Kaufmann A.,* ebenda, S. 332.
26. გერმანულ სსკ-ში არ არსებობს ქართული სსკ-ის 32-ე მუხლის ანალოგიური ნორმა.
27. *Kaufmann A.,* ebenda, S. 334.

სამართლებრივად თავისუფალი სივრცის წარმომადგენლები მის არსებობას ფაქტობრივად უკავშირებენ კანონმდებლის დუმილს, მაგრამ კანონმდებელი ზოგჯერ შეგნებულად დუმს, რაც იმას გულისხმობს, რომ ასეთ დროს სავსებით არ გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევასთან, რომელზეც კანონმდებელს არ უფიქრია და სამართლებრივად არ შეუფასებია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ეხება ყველა შემთხვევას. ზოგჯერ კანონმდებელი დუმს, მაგრამ აღნიშნული შემთხვევა არ რჩება სამართლებრივი გადაწყვეტის გარეშე ნორმის განმარტების გზით. ასეთია უშედეგო ორგანიზება. თუ უშედეგო წაქეზება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით ისჯება როგორც დანაშაულის მომზადება, უშედეგო ორგანიზებაზე კანონმდებელი არაფერს ამბობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის დაუსჯელი უნდა დარჩეს. იქ, სადაც დასჯადია მცირე, მით უფროდ დასჯადია დიდი. შესაბამისად, დანაშაულის ორგანიზება დაისჯება, უშედეგო წაქეზების მსგავსად, როგორც დანაშაულის მომზადება.

ა. კაუფმანი ტერმინს „სამართლებრივად თავისუფალი სივრცე“ იყენებს სხვადასხვა მნიშვნელობით. ერთი მნიშველობით აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრებს იმ ქმედებებს, რომლებიც სამართალს არ აინტერესებს, ისეთს, როგორიცაა: ჭამა, სმა, ძილი, მუსიკის მოსმენა, წერილის წერა, მღვდელმსახურება და ა. შ. იგი მიუთითებს, რომ აქ შესაძლებელია საუბარი „სამართლებრივად ნეიტრალურ“, „სამართლებრივად ინდიფერენტულ“, „სამართლებრივად ირელევანტურ“ ქმედებებზე. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მას მიაკუთვნებს იმ ქმედებებს, რომლებიც სამართლებრივი შედეგებისგანაა თავისუფალი, არ იწვევს სასჯელს. ეს შეიძლება იყოს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის არარსებობის გამო ან სასჯელისაგან გათავისუფლების შემთხვევა. კაუფმანი ამავდროულად იმასაც ითვალისწინებს, რომ აღნიშნული მეორე ჯგუფი შემთხვევებისა დაკავშირებულია სამართლებრივ შეფასებასთან[28].

აღნიშნულ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, არც მართლზომიერი და არც მართლსაწინააღმდეგოა ისეთი ქმედებები, როგორიცაა: ძილი, სეირნობა, ჭამა, ჩაცმა. თუმცა, აღნიშნული ქმედებები მართლზომიერია იმ გაგებით, რომ არ ეწინააღმდეგება სამართალს. ის რომ ქმედება არ არის ნორმირებული სამართლის ნორმით, არ გულისხმობს იმას, რომ მას არ გააჩნია მიმართება სამართლის ნორმასთან. ხოლო რაც შეეხება ქმედების განხორციელებას მართლწინააღმდეგობის ან ბრალის არარსებობის პირობებში, ა. კაუფმანი თვითონვე აღნიშნავს, რომ იგი დაკავშირებულია სამართლებრივ შეფასებასთან, რის გამოც, მეტად საკამათოა მოცემულ შემთხვევაში საუბარი სამართლებრივად თავისუფალ სივრცეზე.

28. *Kaufmann A.,* ebenda, S. 336.

თავის ნაშრომში ა. კაუფმანი ცალკე მსჯელობს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აბორტს კანონით გათვალისწინებული ინდიკაციების დროს და აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ქმედება არის „აუკრძალავი", მაგრამ არა „გამართლებული". მოცემული მსჯელობის არგუმენტად კაუფმანი იმას ასახელებს, რომ არავის არ აქვს უფლება ემბრიონის სიცოცხლე განკარგოს[29]. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მართლაც საკამათო არის, თუ რა შემთხვევებში არ უნდა ისჯებოდეს აბორტი, პასუხისმგებლობისგან შეიძლება თუ არა გათავისუფლდეს ორსული ქალი და სხვა, მაგრამ ის, რომ პოზიტიური სამართალი, მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში ქმედებას დაუსჯელად ტოვებს, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ქმედება მართლზომიერია. სხვა საკითხია პასუხისმგებლობა მართლწინააღმდეგობის თუ ბრალის არარსებობის გამო უნდა გამოირიცხებოდეს, მაგრამ ქართული საკანონმდებლო რეგულირება იძლევა შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის გამორიცხვა მოხდეს უმართლობის გამორიცხვით. უფრო მეტიც, ვინაიდან უკანონობა ქართული სსკ-ის 133-ე მუხლის მიხედვით ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანია, ხოლო აღნიშნული მუხლი პირველადი დაცვის სიკეთედ დაუბადებელ სიცოცხლეს არც განიხილავს, შესაბამისი ინდიკაციების არსებობისას პასუხისმგებლობა გამოირიცხება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე. აღნიშნული ტერმინოლოგიის გამოყენება და პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობის განხილვა სხვადასხვა ეტაპზე გამომდინარეობს ქართული სსკ-ის მე-7 მუხლიდანაც, რომელიც დანაშაულის ცნებას აყალიბებს და დანაშაულის სამნიშნოვან სტრუქტურას გვთავაზობს. ალოგიკური იქნებოდა მიგვემართა ისეთი ტერმინებისთვის და საკითხის გადაწყვეტისთვის, რომელიც გვერდს აუვლიდა დანაშაულის სამნიშნოვან სისტემას, ვინაიდან პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკითხის განხილვისას ამოსავალი პუნქტი არის სწორედ დანაშაულის სტრუქტურა.

6. მართლწინააღმდეგობა და ერთიანი მართლწესრიგი

ერთ-ერთი მოსაზრებით, რომელიც გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულ მოსაზრებად მიიჩნევა, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს (ერთიან) წინააღმდეგობას მართლწესრიგთან. მისი დადგენა ნიშნავს მის დადგენას მართლწესრიგის ყველა სფეროში. სამართალი ადგენს ერთიანობას. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა, რომლის მიხედვითაც ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი დელიქტის ფარგლებში იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, ხოლო სისხლის სამართლის ფარგლებს

29. *Kaufmann A.,* ebenda, S. 341.

გარეთ მართლზომიერი, ან პირიქით[30]. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს (ერთიან) მართლწესრიგთან შესაბამისობის თვალსაზრისით გამართლებას დარგობრივად[31]. უფლებით დაცული ინტერესი შეიძლება სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურებას იწვევდეს. პოლიციელის დაცვითი ქმედება შეიძლება გამართლდეს სისხლის სამართალში გამამართლებელ გარემოებაზე დაყრდნობით, მაგრამ ამის მიუხედავად გამოიწვიოს დისციპლინური რეაქცია, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი არ იქნა გათვალისწინებული დაცვითი ქმედების განხორციელებისას. *აღნიშნულიდან გამომდინარე სავსებით დასაბუთებულია საუბარი სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობაზე*[32]. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობაზე გაკეთებული შეფასების საზოგადო მნიშვნელობაზე საუბარი იმდენად არის სწორი, რამდენადაც იმის დადგენა, რომ სისხლისსამართლებრივი საქმე შეიძლება არსებულიყო სისხლისსამართლებრივი უმართლობის გარეთ, როცა სახეზეა სისხლისსამართლებრივი გამამართლებელი გარემოება. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად გამართლებული ქმედება შეუძლებელია გამტყუნდეს სხვა გამამართლებელი გარემოებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დაუშვებელია აუცილებელი მოგერიება აუცილებელი მოგერიების წინააღმდეგ“[33]. ვინაიდან სისხლისსამართლებრივი საქმის არსებობა სისხლისსამართლებრივი უმართლობის გარეთ შეუძლებელია, სისხლისსამართლებრივი გამამართლებელი გარემოებით ქმედების გამართლებას აქვს მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამორიცხვის თვალსაზრისით. სხვაგვარად სისხლისსამართლებრივი მართლზომიერება უმნიშვნელოა (ეროვნული, ნაციონალური) სამართლის სხვა დარგებისთვის[34]. ვინაიდან სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობაზე გამოტანილი ვერდიქტი არის ყველაზე უფრო მძიმე და წონადი, პეფგენი სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა მან ზეგავლენა მოახდინოს სხვა დარგებზე, როცა საქმე ეხება სისხლისსამართლებრივ შეფასებას, ქმედების შემადგენლობას, რომელიც შემხებლობაშია სხვა მომიჯნავე დისციპლინასთან. ავტორი პასუხობს, რომ ეს არის დამოკიდებული

30. აღნიშნული შეხედულების მიმოხილვა იხ. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 19. ერთიანი მართლწესრიგის მიხედვით მართლწინააღმდეგობის დადგენაზე იხ. *Roxin C.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, S. 613, §14 E Rn. 31, 32. აღნიშნულ მოსაზრებას მხარდამჭერი ჰყავს ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც. იხ. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011. 333.

31. აღნიშნულის შესახებ იხ. *Felix,* Einheit der Rechtsordnung, 1998, S. 290.

32. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *წერეთელი თ.,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010. 33; *ცქიტიშვილი თ.,* ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი, წიგნში: *რევაზ გოგშელიძე* 65, საიუბილეო კრებული, თბ., 2022, 109-140.

33. „Deswegen is die Redeweise von einer Strafrechtswidrigkeit (also einer strafrechtlichen Rechtswidrigkeit) sachlich bereichsweise durchaus berechtigt“. *Paeffgen H-U.*, Rechtswidrigkeit als juristische Kategorie, in: Hilgendorf E., (Hrsg.), Rechtswidrigkeit in der Diskussion, 2018, S. 20.

34. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 20.

კანონმდებელზე. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საგადასახადო და გარემოს დაცვის სამართალი[35].

7. დასკვნა

ცნებებს მართლწინააღმდეგობა და უმართლობა ერთნაირი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. პრედიკატი მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს კატეგორიალურ შეფასებას. იგი გამოხატავს ქმედების მიმართებას მართლწესრიგთან. ქმედება ან მართლსაწინააღმდეგოა ან მართლზომიერი. უმართლობა გულისხმობს შეფასებას, რაღაც სუბსტანციურს და გულისხმობს ქმედებას. უმართლობას აქვს ხარისხი, რაც დამოკიდებულია სიკეთის ღირებულებაზე და სიკეთეზე თავდასხმის ინტენსივობაზე. ქმედების შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა, გასაკიცხაობა არის მეტათეორიული ცნებები. უმართლობას ისევე აქვს ხარისხი, როგორც ბრალს[36].

მართლწინააღმდეგობა არის კატეგორიალური ბუნების, ვინაიდან მას აქვს გამოვლენის სფეროები სამართლის დარგების მიხედვით. ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ შეიძლება შეფასდეს როგორც სისხლის სამართალში, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალშიც. მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კლასიფიკაცია სამართლის დარგების მიხედვით ისევეა შესაძლებელი, როგორც სამართალდარღვევის.

35. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 21.
36. *Paeffgen H-U.*, ebenda, S. 23.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, AT, Lehrbuch, 12. Aufl., Bielefeld, 2016;
2. BVerfG 26.02.2020, NJW 13/2020;
3. Ebert U., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001;
4. Felix, Einheit der Rechtsordnung, 1998;
5. Haft F., Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998;
6. Kaufmann A., Rechtsfreier Raum und eigenverantwortliche Entscheidung, in: Reinhart Maurach, Festschrift zum 70. Geburtstag, 1972;
7. Kühl K., Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008;
8. Paeffgen H-U., Rechtswidrigkeit als juristische Kategorie, in: Hilgendorf E., (Hrsg.), Rechtswidrigkeit in der Diskussion, 2018;
9. Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006;
10. Welzel H., Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., 1969;
11. გამყრელიძე ო., შესავალი წერილი ირ. სურგულაძის წიგნში: ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002;
12. გოცირიძე ე., წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;
13. კანტი ი., ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, თბ., 2013;
14. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2014;
15. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011;
16. ნაჭყებია გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019;
17. თოდუა ნ., ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის, განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხისათვის, წიგნში: რევაზ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, თბ., 2022;
18. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011;
19. ცქიტიშვილი თ., ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი, წიგნში: რევაზ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, თბ., 2022;
20. ცქიტიშვილი თ., ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა, კერძო სამართლის მიმოხილვა, 2021-2022, №3-4;
21. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010.